დანართი №1

2026 წლის მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემის წესი

მუხლი 1. წესის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ამ წესის მიზანია სპორტის მხარდაჭერა, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

2. ეს წესი ვრცელდება:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებზე, რომლებიც ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სპორტულ წრეებში არიან აღზრდილი და/ან ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არიან რეგისტრირებული;

ბ) საქართველოს სახელით საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მოასპარეზე სპორტსმენებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) მწვრთნელებზე, რომლებიც სამწვრთნელო საქმიანობას ახორციელებენ ქედის მუნიციპალიტეტში და რომელთა მიერ მომზადებულმა სპორტსმენებმა, ამ წესის შესაბამისად, დაიკავეს შესაბამისი საპრიზო ადგილი.

მუხლი 2. ფულადი ჯილდოს გაცემის საფუძვლები

1. ფულადი ჯილდო გაიცემა წლის განმავლობაში მიღწეული მაღალი სპორტული შედეგებისათვის, ამ განკარგულებით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული პირობებისა და ოდენობების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე ქედის მუნიციპალიტეტის სახელით და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენი შესაბამის სპორტულ ღონისძიებაში (შეჯიბრებებზე, ტურნირებზე, ჩემპიონატებზე და სხვა ასპარეზობებზე) :

ა) წარმოდგენილია შესაბამისი სპორტის ფედერაციის მიერ;

ბ) წარმოდგენილია ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული დაწესებულების ან შესაბამისი ორგანიზაციის მიერ; ან

გ) შეჯიბრებაში მონაწილეობს პირადი ინიციატივით და ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა რეგისტრირებული.

3. ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფულადი ჯილდო შეიძლება გაიცეს სპორტსმენის პირად მწვრთნელზეც, თუ იგი აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს. მწვრთნელისათვის გასაცემი ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება დანართი №2-ის შესაბამისად.

4. გუნდურ და ეკიპაჟურ სპორტის სახეობებში ფულადი ჯილდო გაიცემა ამ განკარგულებით განსაზღვრული საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში, გამარჯვებული გუნდის/ეკიპაჟის წევრებსა და მათ მწვრთნელებზე, დანართი №2-ით განსაზღვრული ოდენობის შესაბამისად.

5. ფულადი ჯილდო არ გაიცემა კომერციულ ტურნირში მონაწილეობის შედეგად მიღწეული სპორტული შედეგისათვის.

მუხლი 3. ფულადი ჯილდოს მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები და გაცემის წესი

1. ფულადი ჯილდოს მიღების მიზნით დაინტერესებულმა პირმა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, ქედის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა წარუდგინოს წერილობითი განცხადება და შემდეგი დოკუმენტები:

ა) შესაბამისი სპორტული შედეგის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის ან სხვა შესაბამისი დოკუმენტის ასლი ან შესაბამისი სპორტის ფედერაციის მიერ გაცემული ცნობა;

ბ) სრულწლოვანი სპორტსმენის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არასრულწლოვანი სპორტსმენის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო მისი არქონის შემთხვევაში – დაბადების მოწმობის ასლი;

დ) სპორტსმენის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, ხოლო არასრულწლოვანი სპორტსმენის მიერ საბანკო ანგარიშის არქონის შემთხვევაში – მისი კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;

ე) არასრულწლოვანი სპორტსმენის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) მწვრთნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, სპორტსმენისა და მწვრთნელის შესაბამისი სტატუსის ან სპორტულ შედეგთან კავშირის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და შედეგების საფუძველზე მერს წარუდგენს მოხსენებით ბარათს ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ.

3. ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქედის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

4. ფულადი ჯილდო გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

მუხლი 4. გუნდზე/გუნდის წევრებზე ფულადი ჯილდოს გაცემის წესი

1. ამ წესის მიზნებისათვის გუნდად მიიჩნევა ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციაში მოქმედი სპორტული წრის გუნდი, აგრეთვე ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე გუნდი.

2. გუნდის მიერ შესაბამის სპორტულ შეჯიბრებაში პირველი, მეორე ან მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში, ფულადი ჯილდო გაიცემა გუნდის თითოეულ წევრ სპორტსმენსა და შესაბამის მწვრთნელზე, დანართი №2-ით განსაზღვრული ოდენობის შესაბამისად.

3. გუნდის სახელით წარდგენილ განცხადებასა და ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას დამატებით უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გუნდის, მისი შემადგენლობისა და მწვრთნელის შესახებ ინფორმაციას.

4. გუნდის თითოეული წევრისა და მწვრთნელისათვის გასაცემი ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 5. ფულადი ჯილდოს დაფინანსების წყარო

ამ წესით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო გაიცემა ქედის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამის/ქვეპროგრამის საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში.